№ 243 ნოემბერი 14, სამშაბათი — 1889 — ნოემბერი 14, სამშაბათი № 243

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 65 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიასა თავად-აზნაურთ ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 16 ნოემბერს.

ამ ნომერში რვა გვერდია

## სასწავლებელი და პანსიონი

### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, კარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—2)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 14 ნოემბერს,

ბენეფისი

კ. დ. ყიფიანისა

ქართულის თეატრის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

პირველად

**კარდინალი რიშელიე**

კომედ. 5 მოქმედ. თარგ. ა. ცაგარლისა

II

ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი

ვოდევილი 1 მოქმედებად.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა, დიმელი; ბ-ნნი ყიფიანი, აბაშიძე, სვიმონიძე, გუნია, ცაგარელი, გედევანოვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ტფილისი, 12 ნოემბერი

დეპეშებმა ერთი თითქმის მოულოდნელი ამბავი მოგვიტანა, იმისთანა ამბავი, რომელსაც, მართალია, პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს არც ევროპასთან, არც ევროპის პოლიტიკასთან და ჩვენ ხომ არას გზით არ მოგვეკარება. თუმცა ესეა, მაგრამ ზოგიერთს შორეულს მნიშვნელობას მოკლებული არ არის იმისთვის, ვინც ჩვეულია ყოველ ცოტად თუ ბევრად დიდ საქმისაგან რაიმე გასაკვეთი გაიკვეთოს. ჩვენ ვამბობთ ბრაზილიაში მომხდარ ამბავისას. იქ მოჰხდა სისხლ-დაუღვრელი რევოლუცია, ჯერ ხანად მაინც წყნარი და მშვიდობიანი. მოხუცი იმპერატორი დონ-პედრო მეორე გადააყენეს და ბრაზილია, აქამომდე იმპერიად ყოფილი, დღეს რესპუბლიკად გადააქციეს.

ყველამ შეიტყო დეპეშების წყალობით ეს ამბავი, მაგრამ იქნება ყველამ არ იცოდეს რა არის ეს ბრაზილია, სად არის და რა ისტორია მიუძღვის. ჩვენ დღევანდელის წერილით მოვიწადინეთ მოკლედ მოვუთხრათ ჩვენს მკითხველებს ამ ქვეყნის ვითარება და ვგონებთ მეტი არ იყოს, თუ სხვაფრივ არა, საცოდნელად მაინც.

ბრაზილია არის ქვეყანა სამხრეთ-ამერიკაში და ამ სამხრეთ-ამერიკის ქვეყნებ შორის ყველაზედ დიდი ადგილი უჭირავს როგორც სივრცით, ისეც მკვიდრთა რიცხვით. ერთის მხრით საზღვრადა აქვს ატლანტიკის ზღვა, რომელიც თითქმის მთელს მის დასავლეთს ნაპირებს გარს არტყია. ჩრდილოეთით უდევს გვინეია და ნაწილე[illegible]ლანდიისა და საფრანგეთისა, აღმოსავლეთით კოლუმბია, პერუ, ბოლივია, პარაგვაი, ნაწილი არგენტინის შტატებისა, და სამხრეთით ურუგვაი. ბრაზილიასა ჰყავს მკვიდრნი თოთხმეტ მილლიონამდე. თესლ-შთამომავლობით ზოგნი ევროპიელნი არიან, ადრითვე მოსულნი ევროპიდამ, ზოგნი იქაურნი ძირეულნი მკვიდრნი ზანგები, ზოგნი ზანგნი აფრიკისანი. 1872 წელს მკვიდრთა შორის თეთრნი იყვნენ ასში ოც-და-თვრამეტი სული, ზანგები—ასში ოცი სული. მას აქეთ 1886 წ. თეთრთა რიცხვმა იმატა და გაჰხდა ასში სამოც-და-შვიდზე მეტი და ზანგებმა იკლეს, ასში ათზე და ცოტა მეტზე ჩამოჰხდნენ. ამ მატებას თეთრებისას იმას აბრალებენ, რომ ბრაზილიაში მრავალი იხიზნება ევროპიდამ, ნამეტნავად იტალიიდამ. 1886 წ. ბრაზილიას შეეხიზნა სულ 25,791 სული, 1887 წ.—54,390 და 1888 წ.—131,268.

ბრაზილია აღმოაჩინეს 1499 წ. და აღმოაჩინა ერთმა თანამგზავრმა სახელოვანის კოლუმბისამ. მას აქეთ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ეს ბრაზილია ხან ისპანიელთ ეჭირათ, ხან პორტუგალიელთა, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე იმოდენად შემძლებელნი არ იყვნენ, რომ სურვილი თავისუფლად ცხოვრებისა, სამუდამოდ თუ არა, დიდის ხნობით მაინც ამოეკვეთნათ ბრაზილიაში. ამ სურვილმა თავისი [illegible] და 1822 წ. ბრაზილია განთავისუფლდა სხვისა ხელიდამ და თავისი სვე-ბედი თვითვე ჩაიბარა, ცალკე დამოუკიდებელ იმპერიად გამოაცხადა თავი და იმპერატორად დასვა მემკვიდრე პორტუგალის მეფისა დონ-პედრო I. ამ დონ-პედროს მართველობამ ბევრი სამდურავი გამოიწვია, თუმცა 1824 წელს კონსტიტუციაც ჰქონდა ბრაზილიას მინიჭებული. ამ სამდურავმა ფეხი გაიდგა მკვიდრთა შორის და სურვილი ბრაზილიისა მიიხარა რესპუბლიკისაკენ. ამ რესპუბლიკის მომხრეთა დასს ფარუპილიასებს ეძახიან დონ-პედრო I-მა შეიტყო რა ეს, მოიწადინა როგორმე გაღვიძებული სურვილი რესპუბლიკის დაარსებისა მოესპო და შეეცადა თავისის ხელმწიფების უფლებანი უფრო გაეძლიერებინა და ამისათვის მოიწოდა მინისტრებად თავისის აზრის მომხრენი. ამან უფრო გაამწვავა საქმე, რომელიც 1831 წელს იქამდე მივიდა, რომ დონ-პედრო I-მა მოიხადა გვირგვინი და გადასცა თავის შვილს, რომელიც მაშინ სულ ხუთის წლისა იყო და რომელიც ამ გზით გაიმპერატორდა დონ-პედროს II-ს დ'ალკანტარაო სახელით.

1840 წ. დონ-პედრო II, შვილი პირველისა, სრულ-წლოვანად გამოცხადებულ იქმნა. მას აქედ იმპერატორად ბრაზილიისა ეს დონ-პედრო II იყო ამ ბოლოს დრომდე. დონ-პედროს II მეტად საყვარელისა და ტკბილის კაცის სახელი აქვს დავარდნილი. თვითონ ბრაზილიაშიაც ძალიან კაი კაცის სახელი ჰქონდა და უყვარდათ კიდეც. იქნება ამ სიყვარულსაც ცოტად, თუ ბევრად უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ დონ-პედრო ტახტიდამ გადმოაბძანეს და ამასთანავე ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ არც თვითონ დონ-

## ფელეტონი

### სოფ. ეკატერინენფელდი.

გერმანელების კალონია, სოფელი ეკატერინენფელდი ბორჩალოს მაზრაშია. ეს სოფელი სძევს ტფილისიდამ 55 ვერსის სიშორეზედ სამხრეთ დასავლეთით. თვით სოფელი მთებს შუაა, ჩრდილოეთით და სამხრეთით წყლები, მინდვრები და ვენახები აქვს. სოფელი თუმცა მცხოვრებლების რიცხვით პატარაა, 250 კომლამდეა, მაგრამ სხვა მხრით ჩვენს პატარა ქალაქებს არ ჩამოურჩება. ავილოთ თუნდა აქაური სახლები. აქაური სახლი თავის სიდიდით ყაზარმას ჰგავს. ყოველ სახლში ოთხი-ხუთი ოთახია. თვით შენობა შესამჩნევად მაღლა სდგას, ასე რომ ორ-სართულიანი გეგონებათ. დიდის ქვითკირის ეზოთია გარს-შემორტყმული, თითონაც ქვითკირით არის აშენებული, კედლები გარედამ სუფთადა აქვს ფერადად გალესილი, უფრო თეთრად, ბანი კრამიტით არის დახურული, აქვს უეჭველად ფრთედი ორის მხრით მაინც, შიგნით კედლები უკეთესად არის გალესილი და შპალიერით გაკრული, ფიცრის იატაკით დაგებული, ლამფა გაკრული და გალესილი სახლის საჭირო მორთულობით: სტოლით, სკამებით, შკაფით და კრავატით. ამასთანავე ყველა სახლი უეჭველად ქუჩის პირად სდგას. ამიტომ თითქო აქაური სახლები განგებ რიგზედ არის დადგმულიო, ისე გეჩვენებათ. აქაური ქუჩები ფართოებია, სწორებია, ქვით დაგებული, ან ქვიშა დაყრილი, ამასთანავე აქეთ-იქით ნაპირებზედ ქვით დაფენილი სასიარულოები მისდევს და მათთან ერთად ჩაყრილი ხეხილებიც.

შიგ შუა სოფელში მშვენიერი ეკკლესიაა, რომლის კედლები მშვენიერის თლილის ქვით არის აშენებული; თვით მარმარილოს არ ჩამოურჩება ეს თლილი ქვა. ამ ეკკლესიას სიდიდით და სიმშვენიერით ორი ეკკლესია არა სჯობია ქ. ტფილისში. ეკკლესიას უჭირავს განიერი ეზო, რომლის აღმოსავლეთის მხრით ორ-სართულიანს დიდს სახლებში გამოჭიმულია სოფლის სასწავლებელი. ამ სასწავლებელში სამი კლასია, განყოფილებათა გარდა. აქ ასწავლიან გერმანულსა და რუსულს. ბავშვები დაიარებიან ზაფხულობით დილით დღეში სამს საათს, ზამთრობით დილით და საღამოთი დღეში ექვს საათს, სამს საათს დილით, სამს—საღამოთი. ამ ჟამად ამ სასწავლებელში დაიარება 315 ყმაწვილი ქალი და ვაჟი ყოველ დღე, ისე-კი არა, როგორც ჩვენებურს სოფლებში,: სექტემბერში შეიკრიბება სასწავლებელში 100 ყმაწვილი, ორის კვირის შემდეგ 80-ზედ ჩამოვა და წლის ბოლოს 20 ძლივს ივკიეებს ცარიელს ოთახებში.

აქაურ სასწავლებელში სწავლა-გათავებული ყმაწვილები ისე არა რჩებიან უალაგოდ. კეთესებს იმათგანს აბრუნებენ ამავე ასწავლებელში მასწავლებლებად, სხვი სწავლას ავრცელებენ მაღალ სასწავლებლებში, დანარჩენები რაიმ ხელობას მისდევენ, ან მასწავლლობენ კერძო სახლებში და სასწავლებლებში. ეს სასწავლებელი კერძო, სასოფლო.

აქაურობაში უთესი სანახავია წისქვილები, ორი სსართულიანი წისქვილია ერთმანეთზე უკეთესად მოწყობილი. შუა რთულში პურეულობა ირჩევა დარჩეული დასაფქვავად ჩადის ძირისართულში, სადაც წისქვილის ქვებოუნავენ; დაფქული ანუ ფქვილი სუ ზემო სართულში ადის და იქ რამ ნაირადმე იცრება, ისე რომ სუწმიდა ფქვილი ცალკეა, ცოტა იმ მომხო, ქატო და წმიდა ჩენჩო, ფრისთვის გამოსადეგი, ცალ-ცალ ჩადის შუა სართულში მზად ჰმულს ტომრებში. ზემო სართულშ რხის მაშინაა, რომელიც ერთისა ცივე ბორბლის წყალობით ფქავს რის პურს, არჩევს და ფიცრებსაცარხავს.

ამ სოფელშილაფერი იშოვება სასყიდლად, რანაც ბაზარ-დუქნებია და ასე გასინჯეთ სასტუმროცკი. აქ აწარმოებენ საქმეს პოლიციის და სამოსამართლო ბოქაულები, მომრიგებელი მოსამართლე და გამომძიებელი. ფოსტა კვირაში ორჯელ დაიარება. სააპტიმროც არის.

ეს ქვეყანა ბუნებას უხვად დაუსაჩუქრებია. იგია შემკული ტყით, წყლებით, სამყოფის მინდვრით. მოსავალი ძალიან უხვი იცის. ურემი კარგად დადებული შეშა ერთ მანათად ღირს. როგორც მდინარე წყლები, ისე მთის სხვა-და-სხვა თვისების წყალი სამყოფია. ღირს შესანიშნავია ერთი კლდიდამ გადმომტეხი წყარო, რომლის წყლის გემო ზელტერის წყლის გემოსა ჰგავს, ასე რომ ტფილისში ზელტერის წყლებში გასასყიდად რომ ჩაიტანონ, ხუმრობა გაშვებით, პირველს ალაგს დაიჭერს.

თევზი ძალიან ბევრი იცის. ხრამულის დედაქალაქი სოფ. ხრამი ეკატერინენფელდიდგან სულ მცირე მანძილზედ სძევს. თევზი აქ ძრიელ იაფია. მოსავალიდამ აქ მოდის: პური, ქერი, შვრია, სიმინდი და სხვ. ღვინო მაგარი და წმინდა, ხილი: ღღღვი, წაბლი, ვაშლი, ბალი და სხვ... თითქმის ყველა ის მოსავალი, რაც უფრო ცხელს ქვეყნებში მოდის. ზაფხული აქ ცხელი იცის და ზამთარი თბილი. აქაური მიწა შავის კუნაპეტივით არის. ნაყოფიერების გამო ღრმად არ უნდა მოხვნა, ასე რომ ოთხი ცხენი აქ თავისუფლად ჰხნავს.

ვენახებს აქ ორ-სამ ოთხ-კუთხიან ვერსის ადგილი უჭირავს მტევანი ისე დიდი იცის აქაურმა ვაზმა, რომ ჩვენს მამა-პაპას ამ ადგილისთვის რატკვანი, ანუ უკეთ, რამტევანი დაურქმევია. აქაური ქართველები ასე ხსნიან ამ სახელს. ვენახებში ვაზები სწორედ «სალდათებივით» სდგანან, ისეთ რიგზედ, რომ თავში მდგომ ვაზიდამ ბოლო ვაზს რომ გაჰხედოთ, დაინახავ. სიგრძით და სიგანით ვაზები ერთმანეთზედ თითო არშინ ნახევარზედ სდგანან. თავისუფლად შეგიძლიანთ ისე გაიაროთ საით მხარესაც გინდად შუაგულს ვაზებში, რომ ფოთოლი არ შეანძრიოთ. აქაური მცხოვრები ვენახს ძალიან მისდევს და დიდს ხელსაც აძლევს ღვინო. ბევრი და კარგის თვისების ღვინო დგება, ასე რომ ტფილისიდამ ყოველ დღე მუშტარი მოდის და რუმბებით მიეზიდება ღვინოს. გაერთგულებული მცხოვრები ჰხედავს ამ სარგებლობას და ყოველს წელს აშენებს სადაც მოჰხდება ვენახს, ერთს ვაზს შეილჯერ აკრავს დიდს, სწორესა მსხვილ ჰიგოზედ. აქაურ მცხოვრებს რომ ჰკითხო, რამდენი ვაზი გიდგიაო ვენახში, იმ წამსვე სისწორით გეტყვის. არ შეიძლება რომ ოთხი-ხუთი ნაჰერი ვენახი არა ჰქონდეს აქაურს. ბევრს ათი, თხუთმეტი და ოცი ნაჰერი უჭირავს თავის საკუთარი.

პედროს და არც მის სახლობას არავითარი უპატიურება არა მიაყენონ-რა, არას გზით არა ავნონ-რა.

დონ-პედრო სწორედ ღირსიც იყო პატივისცემისა და სიყვარულისა. მის ხელში ძლიერ წინ წაიწია ბრაზილიამ. მოქალაქობრივი და პოლიტიკური თავისუფლება ერისა, რამდენადაც შესაძლოა, სრული იყო. ერს თავის კანონმდებლად და გამგებლად თვის მიერვე ამორჩეულნი წარმომადგენელნი ჰყვანდა. ერთი შესანიშნავი მუხლი ბრაზილიის კონსტიტუციისა ის იყო, რომ იმპერატორს შეეძლო არ დაემტკიცებინა წარმომადგენელთა განაჩენი და თუ იგივ განაჩენი, ხელ-მეორედ წარმომადგენელთაგან გადასინჯული, ხელახლად წარედგინებოდა, იმპერატორს უფლება არა ჰქონდა უარეყო და უნდა უსათუოდ დაემტკიცებინა. თავისუფლება ჟურნალ-გაზეთობისა და ერთობ მწერლობისა სრული იყო და ამის გამო ჟურნალ-გაზეთობა და მწერლობა გაძლიერდა და განკარგდა. მარტო ერთს სატახტო ქალაქს რიო-ჟანეიროში 80 ჟურნალ-გაზეთი გამოდის, მთელს ბრაზილიაში 529 ჟურნალ-გაზეთია მაშინ, როდესაც ამ თორმეტის წლის წინად სულ 271 იყო.

დონ-პედრო II დიდი მოყვარული იყო და დიდი მზრუნველი ერის განათლებისა. 1857 წ. სულ 2,595 სკოლა იყო და 70,000 შეგირდი და 1886 წელს-კი სკოლა 6,605 ავიდა და შეგირდთა რიცხვი 214,670-მდე. რა რიგი მოწადინე იყო სკოლების გამრავლებისა დონ-პედრო II, ეს შემდეგ ამბავისაგანაც სჩანს, როგორც გაზეთები იუწყებიან. როცა პარაგვაისთან ომს შემდეგ ბრაზილიის ერმა მოიწადინა ძეგლი დაედგა იმპერატორისათვის, დონ-პედრომ II ისურვა, რომ ძეგლისათვის მოგროვილ ფულით პირველ დაწყებითი სკოლები დაემართათ.

არც გზები და სხვა სასარგებლო საქმენი დარჩნენ წარუმატებლად. რაც 1870 წელს რკინის გზები იყო, 1887 წლამდე ერთი ათად მოემატა. წინად თითქმის არაფრის გამსყიდავი ბრაზილია იმოდენად გაძლიერდა დონ-პედროს ხელში, რომ ამ ბოლოს ხანებში ყოველ წლივ 700 მილიონის საქონელსა ჰყიდის გარედ. რამოდენად აიწია მკვიდრთა სარჩო-საბადებელმა, რამოდენად იმატა მათმა ქონებამ—ეს სხვათა შორის შემდეგიდამაცა სჩანს: 1860 წ. პირველად დაარსებულ იქმნენ სახოგადო ბანკები. ათის წლის შემდეგ დაარსების დღიდგან ამ ბანკებში მისაბარებლად და შესანახავად შეტანილ იქმნა მკვიდრთაგან ხუთმეტ მილლიონამდე. გავიდა კიდევ ათი წელიწადი და ამ ფულმა აიწია ორმოც-და-ხუთ მილლიონამდე.

ყველაზედ უდიდესი საქმე დონ-პედროსი მონაობის მოსპობა იყო ბრაზილიაში. 1888 წელს, როცა დონ-პედრო ევროპაში იყო, მისმა ასულმა იზაბელამ, რომელიც მის მოადგილედ დარჩა, სრულად ამოჰკვეთა მონაობა. 1871 წელს თვითონ დონ-პედრომ დასდვა საფუძველი ამ განთავისუფლებისა. მაშინ გამოცხადებულ იქმნა განონი, რომ თავისუფალნი არიან ყველა ბაშვები, მონათაგან შთამომავალნი.

ეხლა ამბობენ, რომ პლანტატორები, სახელდობრ მონების პატრონები შეიქმნენ მიზეზი დონ-პედროს გადაყენებისაო. რაკი ხელიდამ გამოეცალათ მუქთა მუშა და რაკი ეხლა სხვისის ოფლითა და ამაგით ცხოვრება აღარ შეუძლიანთ, რა თქმა უნდა, კაი გულით არ დაუწყებდნენ ყურებას იმპერატორს, რომელმაც იგინი გამოიმეტა და შესწირა ჭეშმარიტს კაცთ-მოყვარებას და ადამიანურ ღირსების აღდგენასა. ეს გულ-ნატკენი პლანტატორები მიჰხრობიან თურმე რესპუბლიკის მსურველთა, რომელთაც ფარუპილიასები ჰქვიანთ, და სამს ნოემბერს ბრაზილიის სატახტო ქალაქს რიო-ჟანეიროში რევოლუცია მოუხდენიათ, უსისხლო, წყნარი და მშვიდობიანი, დონ-პედრო II დაუთხოვნიათ იმპერატორობისაგან და რესპუბლიკა დაუწესებიათ ჯერ ხანად მაინც. მაინც მონარქიები როგორცაც ვერა ჰხეირობენ ამერიკაში და, თუ არა ვცდებით, ეს ბრაზილია ერთად-ერთი მონარქია იყო მთელს ამერიკაში.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ დაჯეშმარიტებით, რომ ბათომის ქალაქის საბჭოს გადაუწყვეტია დაუთმოს სამუდამო სასარგებლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ბათომში სასკოლედ ადგილი სივრცით 400 ოთხ-კუთხი საჟენი.

*** კვირას, 12 ნოემბერს, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში იყო წლიური კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა“. კრებამ განიხილა ანგარიში საზოგადოების გამგეობის წლიურის მოქმედებისა და სხვათა შორის მიაქცია ყურადღება შემდეგს გარემოებას: საზოგადოებას პირობით აქვს შემოწირული ას ორმოც თუმნამდე ფული განსაკუთრებით წიგნების საბეჭდავად და შემომწირველთა სურვილი უნდა დაცულ იქმნასო. საზოგადო კრებამ 13 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 11 გადასწყვიტა: საზოგადო. თანხაში შეირიცხოს ის ფული ანგარიშის გასაადვილებლად და ხმარდებოდეს-კი წიგნების ბეჭდვასაო. შემდეგ ლაპარაკი გაიმართა ხელ-უხლებელის თანხის შესახებ. საზოგადო კრებამ თვით გამგეობას მიანდო ხელ-უხლებელი თანხა იქონიოს, წელს ერთი მომგებიანი ბილეთი შეიძინოს და მიუმატოს თავის 19 ბილეთს იმ ბილეთის მაგიერ, რომელიც საზოგადოებამ წარსულს წელს შესწირა ქალთა სკოლის დასაარსებლად „სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის ქალთა განყოფილებას“. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და შემდეგ დიდის ხმის უმეტესობით (17—7) შეიწყნარა წინადადება გამგეობისა, რომ რაც წმინდა შემოსავალი ჰქონდეს „საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას, იქიდამ ოცი პროცენტი მიეცეს საქმეთა-მწარმოებელსაო. კრებამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ საზოგადოების გამგეობა არა ჰბეჭდავს სამეცნიერო კატალოგს თავის ბიბლიოთეკის ხელნაწერებისას და არა ჰბეჭდავს თვით საყურადღებო ხელ-ნაწერებსაო. ძველის წიგნების საბეჭდავად საზოგადოებას ცალკე ფული აქვს შემოწირული და სასურველია, რომ იმ ფულით ყოველ წლივ თითო ძველი საყურადღებო ხელ-ნაწერი იბეჭდებოდესო. დასასრულ კრებამ განიხილა და დაამტკიცა საეარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და მიიღო რამდენიმე ახალი წევრი. მეტი არ იქნება, საზოგადოების ანგარიშიდგან ორიოდე საყურადღებო გარემოება მოვიხსენიოთ: საზოგადოებას წლის განმავლობაში შესვლია 6,238 მან. 33 კაპ., ხოლო დაუხარჯავს 5,363—50 კაპ. ამ წლის 1 სექტემბრისთვის საზოგადოებას ჰქონია სულ წიგნებად და ფულებად 12,161 მან. 25 კაპ. ქონება. ანგარიშის ბოლოს სწერია: „იმერეთში უფრო მეტი მოთხოვნილებაა წიგნებისა ვიდრე ქართლ-კახეთში. ყველაზე მეტი წიგნი იყიდება გურიაში, ყველაზე უკან ჩამორჩენილია კახეთი. საზოგადოდ-კი დღეს ქართულის წიგნის მოთხოვნილება არის და განათლებულ, მოწინავე ქართველობის მოვალეობაა ეს მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. რამდენადაც ორის წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, სახელმძღვანელოებს შემდეგ, უფრო თხოულობენ: 1) აწინდელ ჩვენის მწერლების ნაწარმოებს — ი. ჭავჭავაძისას, აკ. წერეთლისას, ა. ყაზბეგისას და რ. ერისთვისას; 2) ისტორიულს წიგნებს, მეტადრე ისტორიულს მოთხრობებს და 3) საყმაწვილო წიგნებს, მეტადრე სურათებიანს“. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც დაარსებულია ამ ზემოხსენებულის მოთხოვნილებისა და წყურვილის დასაკმაყოფილებლად, თვითვე ეცდება ამ საგნისათვის და მიაწოდებს ერს იმ გვარს ნაწერებს, რომელსაც უმრავლესობა ითხოვს.

*** კვირა საღამოს სამეურნეო საზოგადოების დარბაზში წლიური კრება ჰქონდა მასწავლებელ ქალთა დამხმარებელ საზოგადოებას იმაზედ, თუ წლის განმავლობაში როგორი შემწეობა აღმოუჩინა ამ საზოგადოებამ გაჭირებულს მასწავლებელ ქალებს, რამდენი გაკვეთილი უშოვნა და სხვანი. ამ ფრიად სასარგებლო საზოგადოების მოღვაწეობაზე ქების მეტი არა გვეთქმის-რა, რასაკვირველია, მაგრამ ერთი ეს არ იყო მოსაწონი, რომ კრებაზე იმდენი წევრი არ დაესწრო, რამდენიც მოსალოდნელი იყო. მიზეზი ამისი უმთავრესად ის გახლდათ რომ საზოგადოებამ მხოლოდ რუსულ გაზეთებში დაბეჭდინა განცხადება, როდის უნდა იყოს კრება. ტფილისში ბევრია ისეთი მასწავლებელი და თვით ამ საზოგადოებას საკმაოდა ჰყავს ისეთი წევრი, რომელსაც არა აქვს გამოწერილი არც ერთი რუსული გაზეთი. ისეთნიც ბევრნი არიან, რომელთაც სრულებით არავითარ გაზეთის გამოწერის ღონისძიება არა აქვთ, არც რუსულისა, არც ქართულისა და არც სომხურისა. ამიტომ ბევრმა მათგანმა არ იცოდა, სად იქნება კრება და ან რამდენს საათზე. ზოგს შეეტყო, რომ სამეურნეო საზოგადოების დარბაზში შეიკრიბებიანო, და კიდეც მოვიდნენ, მაგრამ მოვიდნენ მაშინ, როდესაც კრება გათავებულიყო. ჰგონებოდათ, შვიდს საათზე დაიწყებაო, და ის-კი არა თუ დაიწყო ხუთზე და შვიდზე გათავდა. კვლავ რომ თავიდგან აიცდინოს ამ „საზოგადოებამ“ ასეთი დაბრკოლება, კარგს იზამდა ყოველ წევრისათვის ცალკე ბარათი დაერიგებინა, როგორც ყველა სხვა საზოგადოება სჩადის ხოლმე.

*** ამას წინად ქალაქში ქართველ მღვდლად აკურთხეს ერთი ახალგაზდა კაცი, ტომით სომეხი, რომელიც რამდენსამე წელს მასწავლებლად იყო სომხისავე სკოლაში ეჩმიაძინს ახლოს და ეხლახანს მიიღო მართლ-მადიდებელი სარწმუნოება.

---

თივა იმდენი მოდის აქ, რომ ყოველს კარმიდამოზედ დიდი თივის ზვინი სდგას. აქაური საქონელი მარტო ამ თივით გამოდის.

სოფელში დიდ-ძალს საქონელს ინახავენ. მომეტებულად ძროხასა და და ცხენს. ისე ოჯახი არ იქნება, რომ სამი-ოთხი ძროხა და ამდენივე ცხენი არა ჰყავდეს. უკანასკნელი ორიათასი სული ძროხა გაიშლება ხოლმე, აქაური ნახირი რომ გამოვა. აქაურითათვის ღორი აუცილებელი საჭიროებაა. ყველა მცხოვრებს რამდენიმე ღორი ჰყავს, კარგად აჭმევს და ამიტომ აღარ აწუხებს.

ცხენებს ამუშავებენ ხარისა და კამეჩის მაგიერად ყოველ გვარ საქმეში. მცხოვრებლებისთვის ფურგუნი ურემიც არის, ფაეტონიც და კარეტაც. ამ დღე და ღამ გააქვს რახი-რუხი ფურგუნს.

მცხოვრებლები სულ მთლად გერმანელები არიან. როგორც ჰხედავთ, გერმანელები თავის გარეგნის მოწყობილობით თითქმის სრულებით განირჩევიან სხვა სოფლების მცხოვრებლებისაგან. ჩვენში, მაგალ. ქართლში, მცხოვრებნი ეგრე რიგზედ და გონივრულად ვერ არიან მოწყობილნი. შინაგანის ცხოვრებითაც სრულიად განირჩევიან გერმანელები ქართველებისაგან.

აი ეს თითქმის ორასი წელიწადია, რაც აქ სცხოვრობენ გერმანელები, და ვინც პირველად დასახლებულან, აქამდის მარტო იმათი ჩამომავლობაა, ამ სოფლის მცხოვრები. მე რომ ვსთქვი, ორასი წელიწადია თითქმის, რაც ეს გერმანელები დასახლებულან-მეთქი, სახეში ამ ხალხის შემდეგი გადმოცემა მქონდა. ამათში სცხოვრობს ერთი ბერი კაცი 90 წლისა. ეს ბერიკაცი ამბობს, რომ ჩვენ, ესე იგი მამა-პაპანი, რიცხვით 90 კომლამდის, იერუსალიმში მივდიოდით სალოცავად, მაგრამ შემთხვევის გამო ვეღარ მივედით და აქ ახლო დავრჩით გზაშიო. ეს ამბავი საქართველოს რუსთა სახელმწიფოს შეერთებამდე ყოფილა. რუსთა ხელმწიფემ ეკატერინემ გვიბოძა ეს ალაგი, აქ დავსახლდით და ხელმწიფის პატივსაცემად ჩვენს კოლონიას დავარქვით ეკატერინენფელდიო.

აქაურები ნებას არ აძლევენ სამუდამოდ დაბინადრებისას აქ არამც თუ სხვა ტომის კაცს, არამედ თავის მოძმე გერმანელსაც-კი. იქნება იმიტომ, რომ ადგილ-მამულისა და ტყის განაწილება არ მოუნდეთ ახალ მოსახლესთვის. ვისაც უნდა დროებით იცხოვროს ამ სოფელში, უნდა ბლომად გადიხადოს სასოფლო გადასახადი. დიდებმა რუსული არ იციან კარგად, პატარები-კი სულ გერმანულად ლაპარაკობენ.

მეტად კარგი ერთობა აქვთ ერთმანეთში. ვსთქვათ მცხოვრებს ისეთი საქმე აქვს, რომ მარტო თითონ ვერ შეიძლებს იმის გაკეთებას, სახლი აქვს ასაშენებელი. წავა თავიანთ უფროსთან შულცთან,—მამასახლისს შულცი ჰქვიან—წინა დღით შეატყობინებს რომ ესა-და-ეს საქმე სხვის დაუხმარებლად ვერ გამიკეთებიაო. შულცს აქ ისეთს პატივსა სცემენ, რომ ჩვენში, ვგონებ, მაზრის უფროსსაც არა სცემენ ამისთანა პატივს. ჩვეულებად აქვთ აქ ერთმანეთის უფასოდ დახმარება, ასე რომ დღეს მე ვეხმარები მეზობელს, ხვალ აუცილებლად შენ უნდა დამეხმარო, ზეგ სხვა. შულცს უწერია დავთარში ამა-და-ამ დროს ვის შეხვდება რიგი დახმარებისა და იგი შეატყობინებს იმდენს კაცს, რამდენიც საქმისთვის საჭიროა. ესენი აუცილებლად მიდიან მეორე დღეს მეზობელთან და ერთბაშად უკეთებენ საქმეს. ეს კიდევ ეცდება გადაუხადოს ამ გზით, ან რითაც შეიძლებს შემდეგ. ამ ნაირად ყველას საქმე მიდის წინ. თავიანთ მოძმეს და საზოგადოდ სხვას ძნელად დაეჩაგვრინებიან. ვსთქვათ მცხოვრებს ფული ჰმართებს და არ შეუძლიან მოვალეს გასტუმრება. იმისი მეზობლები იქამდის არ მიაყვანინებენ საქმეს, რომ ციცხვი და კოვზი გაეყიდოს ვალში, პირდაპირ თავის ჯიბიდამ აძლევენ მოვალეს და მოძმეს-კი სხვა ნაირად შეაძლებინებენ ვალის გადახდას. ესე იციან სახელმწიფო ხარჯის გადახდაზედაც. ჩვეულებად აქვთ, ამათი გზირი წინადვე დაივლის ქუჩა-ქუჩა ზარის წკარა-წკურით და ატყობინებს ხალხს, ხვალ მოგროვდით სასოფლო კანცელარიაში ხარჯის გადასახადათაო. მეორე დღეს მიდიან სულ ყველანი კომლზედ კაცი თავისი წილის ფულით, ბევრს არ შეუძლიან სრულად გადიხადოს ეს გადასახადი. მაშინ თუ სხვა არავინ, შულცი იხდის უეჭველა იმ დღეს იმის მაგიერად და შემდეგ შეძლებისადაგვარად გადაახდევინებს. ესე მთელი გადასახადი უეჭველად ერთს დღეს სწყდება, როდესაც სხვა სოფლების მცხოვრებლებს გადასახადის ასაკრებად ყაზახები თავ-პირს ამტვრევენ შეუძლებლებს და იმათი დამხმარებელი-კი არავინ ჩნდება შეძლებულ მოძმეთაგან. ამ გვარად არც მწვადი იწვის, არც შამფური, მეგობრობა და სიყვარული უფრო ძლიერდება და არც-არა ვალის გადამხდელის ჯიბე კლებულობს.

ვენახები აქვთ საკვირველად დაყოფილი. სულ ერთად არის აქაური ვენახები და, როგორც ზემოთ ვსთქვი, ძალიან დიდი ალაგი უჭირავს. მთლად ვენახებს საერთო ღობე არტყია გარშემო. შიგნით დაყოფილებია ვენახები, ვის რომელი ეკუთვნის. ვენახები რიგზედ არის დაყოფილი და ყოველ რიგის ბოლოს დიდი საურმე გზა გასდევს. მიდიხარ გზად შუა-გულ ვენახებში ურმით, თუ ფეხით. ამოდენა ვენახები სულ შენ ხელშია, მაგრამ როგორ შეგიძლიან მარცვალი გამოაძრო და ერთის გროშის დანაფასევი მოაკლო: სოფელში აღარ დაგაყენებენ. სთხოვე, თუ გინდა და ნურას-კი დააკლებ ჩუმად.

ყველა კაცს შულცისაგან და სოფლისაგან განაწილებული აქვს ადგილ-მამული, სახნავი და სათესი, აგრეთვე ვენახი, იმ პირობით, რომ აუცილებლად უნდა კარგად მოუაროს, თუ არა-და, იმასაც წაართმევენ და სოფლიდგანაც დაითხოვენ.

რადგანაც ასეთი ერთობა აქვთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ კავკასიის გამოფენის გამგეობა ცალკე წერილით სთხოვს გამოფენისავე განყოფილებათა ხელმძღვანელთა და გამგებელთ შეადგინონ ანგარიში ჩვ. სახ. გამოფენაზე წარმოდგენილ ნაწარმოებისა და იმათ მწარმოებელთა. ანგარიში უნდა წარედგინოს გამოფენის გამგეობას არა უგვიანეს 1 იანვრისა. ყველასაგან ცალკ-ცალკე შედგენილი ანგარიში მერე ერთად დაიბეჭდება.

*** მკითხველებს მოეხსენებათ, რომ სასახლისა და ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიას შუა მეიდანზე უნდა ააგონ ეკკლესია. ამის გამო ამ დღეებში რამდენსამე ალაგას გასთხარეს მიწა შვიდ საჟენის სიღრმეზე და სულ ყველგან ფხვიერი მიწა აღმოჩნდა. ეხლა აპირობენ გასთხარონ ცხრა საჟენის სიღრმეზე და თუ კიდევ რბილი მიწა აღმოჩნდა, აქ ეკკლესიის აგება შეუძლებელი საქმე იქნებაო.

*** წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გამგე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ჩვენის სკოლის საპედაგოგიო საბჭო გულითადს მადლობას უძღვნის პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს, რომელთაც შემოსწირეს ჩვენს სკოლას ადამიანის ჩონჩხიო.

*** კვირას, 12 ნოემბერს, სასახლეში კავკასიის სამეურნეო გამოფენის ექსპონენტებს დაურიგეს საჩუქრები და ჯილდოები. სიტყვები წარმოსთქვეს თ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვმა და ბარონ ნიკოლაიმ. მოვიყვანთ მოკლედ უმთავრესად დაჯილდოებულთა გვარებს:

**ოქროს მენდლები.** მიწათ-მოქმედების განყოფილების ექსპონენტებს: ხელმწიფის მურღაბის მამულს, ენფიანჯიანცს. ღვინის კეთების განყოფილებაში: თ. ჯორჯაძესა და ამხ., თ. აბამელიქოვს და ვაჰარს მამულაშვილს, გრაფს ს. შერემეტიევს და კახეთის საუფლისწულო მამულს. სამრეწველო განყოფ. ბოზარჯიანცს, მიზარბევიანცს, კოტრინის, სარაჯოვს, გ. მ. თამამშოვს.

**ვერცხლის დიდი მენდლები.** I განყ. ა. მ. ერისთავს, ა. ყორღანოვს, ზ. ს. ზავრიევს. მე-IV განყ. ნ. ქიქოძეს და ა. ი. თვალჭრელიძეს. მე-V განყ. ა. ი. საკინაშვილს, ა. სათაროვს. მე-IX განყ. გ. ტატიევს და ს. მელვინოვს. მე-X განყ. პ. მ. მოსეშვილს, ნ. ვ. ღოლობერიძეს და დ. ზ. ბარათაშვილს.

**ვერცხლის პატარა მენდლები.** I განყ. თ. ივ. რ. რუსიშვილს, დ. დეკანოზიშვილს, დ. ზ. ბარათაშვილს, ამირალი-ჰაჯი-რაიმ-ოღლის, ა. ქანანოვს. მე-II განყ. დ. თ. ერისთავს. მე-III განყ. თ. ი. ანდრონიკაშვილს, თ. ს. ანდრონიკაშვილს და თ. გ. კ. ვაჩნაძეს მე-IV განყ. ს. სამედოვს, ნ. ჩახანაძეს, ცივციძეს, ლარიბაშვილს, დ. გაგლობაშვილს, პ. ჩარხოშვილს და თ. ნ. ვეზირიშვილს. მე-VI განყ. მ. კ. ყოფიანს. მე-IX განყ. ა. აკოფოვს, ი. ალიმბაროვს და ვახტანგოვს.

**ბრინჯაოს მენდლები.** I განყ. თ. ლ. ჯანდიერს, თ. კ. ერისთავს, თ. ლ. ნაკაშიძეს, ბ. ი. ბადალაშვილს და ს. გ. ბერიძეს. მე-II განყ. კნ. ო. ჭავჭავაძეს და მ. მიქაძეს. მე-III განყ. თამამშოვსა და თულაშვილს, თ. ხოლაყაშვილს. მე-IV განყ. დ. ი. წულუკიძეს, ტ. ბახტაძეს, გვინჯაძეს, ნ. ი. წერეთელს. მე-V განყ. ტატიაშვილს, იმედაშვილს, მელიქიძეს, სანდაძეს. მე-IX განყ. დედუკაშვილს, პ. გვრიტიშვილს, დ. გიგაურს, კ. მაისურაძეს, გ. ოქუაშვილს, თ. ნ. ვეზირიშვილს, გ. ცხოვრებაშვილს, გასაშვილს, კნ. ჩერქეზოვისას და კ. მესხიევს.

*** პარასკევს, ამ თვის 10-ს, საღამოზე სურფ-გეურქის გალავანში დღეობის გამო დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა და ჩვენ ქურდ-ბაცაცებსაც, რასაკვირველია, არ ეძინათ. ერთს ხელოსანს ვიღაცა „ქულიკმა“ ამოაცალა ჩხუბში საათი და გაიქცა, მაგრამ პოლიციის მოხელეთ შეამჩნიეს ქურდობა, დაიჭირეს და პოლიციაში გაჰგზავნეს. ამავე ღამეს ერთმა ყმაწვილმა კაცმა ეკკლესიაში დაახვია ხალიჩა, ამოიდო იღლიაში და მიდიოდა შინისკენ, როდესაც ეკკლესიის ყარაულმა შეაყენა და ჰკითხა, სად მიგაქვს ხალიჩაო. ქურდმა უპასუხა ეზოში უნდა გამეშალა და ზედ დავმჯდარიყავიო.

*** ახალ-სენაკი: ჯარში გამოსაწვევს ყმაწვილნი კაცნი უკვე შეიკრიბნენ და დაიწყო კენჭის ყრა.

*** **შორაპანი:** სავანელ აბაშიძეებსა და ჯაფარიძეს ერთის მხრით და ბოსლეველ აბაშიძეებს მეორეს მხრით. დავა აუტყდათ ერთის მთის გამო. ეს სადავო საქმე უკვე სწარმოებს სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტამდე შეიქმნა ჩხუბი იმ მთის გამო და 4 ნოემბერს ბერდანკის ტყვიამ იმსხვერპლა კონ. აბაშიძე, ხოლო ევსილ აბაშიძე დაჭრილია მძიმედ. ამ საქმის გამო დაპატიმრებული ჯერ არავინ არის.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** დიდი ტყუილი და ჭორი გამოდგა ის ხმა, რომ ვითომ გერმანიის იმპერატორი, რაკი საბერძნეთის მემკვიდრე პრინცი ჰერცოგი სპარტისა სიძედ მოიკიდა და თავისი და მიათხოვა, კრიტის კუნძულს საბერძნეთს მისცემს საჩუქრადაო. ამისთანა საქმეები ბისმარკს უნდა ეკითხოს და ბისმარკს-კი ასე შეუთვლია ოსმალეთისათვის, როცა საბერძნეთის საჩივარი მისულია: გაჰგზავნე ჯარი და დაამშვიდე აჯანყებული კრიტელებიო. ინგლისი სულ სხვა ნაირად მოიქცა. შეუთვალა ელჩს, გამოუცხადეთ ოსმალეთს, რომ იმედია, შეასრულებ კრიტელების კანონიერს თხოვნასა-თქო. იტალიამ თავი მოიკატუნა და შეუთვალა საბერძნეთს: არ ვიცი, რა მიზეზი გაიძულებს, რომ შეიარაღებას აპირობ და გინდა ჩაერიო კრიტელების საქმეშიო. ავსტრი-ვენგრიამ ხომ გერმანიაზე მიუშვირა ხელი, ყველაფერი იმან იცისო. ასე უკუღმართად წაიდა კრიტის საქმე გერმანიის მიზეზით. გერმანიის მიზეზითაო, ვამბობთ, იმიტომ-რომ ვიდრე იმისაგან არ მიუვიდა ამბავი, ოსმალეთი ვერა ჰბედავდა ჯარების გაგზავნას კრიტში და რაკი იქიდამ მოუვიდა ამბავი, გაჰგზავნე ჯარები და დაამშვიდე იქაურობაო, ოსმალეთი ყოყმანს აღარ მოჰყვა და სისხლმა დაიწყო დენა საკოდავს კუნძულზედ შაქირ-ფაშამ იქ ნაკლები მტარვალობა არ ჩაიდინა, ვიდრე ბოლგარიაში ოსმალეთის ჯარმა 1876 წელს. ათინაში რომ მემკვიდრე პრინცის ქორწილი გადაიხადეს, გერმანიის იმპერატრიცა ხომ იქ დაესწრო და რამდენიმე სიტყვაც წარმოსთქვა საბერძნეთის თანაგრძნობისა. ბისმარკსაც დეპეშა მოსწერა, რომ სიამოვნებით ვსტკბები ძველებურ ელლადისა და მის წარსულის ნაშთების ხილვითაო. მაგრამ კრიტელების შესახებ-კი ხმა არ ამოუღია. გრაფ ჰერბერტ ბისმარკმა, შვილმა კანცლერისამ, პირ-იქით, უთხრა ტრიკუპისს, რომ იმედი-კი ნურა გექნებათ-რა კრიტის თაობაზე გერმანიის ხელმწიფის აქ ყოფნითაო. თქვენ კარგად მოიქეცით, რომ კრიტის საქმეში არ გაერიეთ და შემდეგაც რომ აგრე მოიქცეთ, ძალიან სასიამოვნო იქნება დიდთა სახელმწიფოთათვისაო. ევროპა იმ აზრისაა, რომ ოსმალეთს უმაღლესი უფლებანი აქვს კრიტზეო. ამ მამა-შვილურს დარიგებაზე ტრიკუპისს პასუხად ასე უთქვამს: ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ პოლიტიკაში დამოყვრებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ვილჰელმის აქ მოსვლა არაფრით არ გააუკეთესებს კრიტის მდგომარეობასაო. რაც შეეხება ოსმალეთის უმაღლესს უფლებას, ჩვენც იმდენად შეწყნარებული გვაქვს ეგ უფლება ხონთქარისა კრიტის შესახებ, რამდენადაც ევროპას ტუნისისა, ეგვიპტისა, კვიპროსისა, აღმოსავლეთის რუმელიისა და ბოსნია-ჰერცოგოვინას შესახებაო. თუ-კი ამ ქვეყნების შესახებ ევროპის სახელმწიფოებმა არა სცეს პატივი ხონთქარის უმაღლესს უფლებას, რალა კრიტის შესახებ მოუნდათ ასეთი პატივისცემაო.

**საფრანგეთი.** საფრანგეთის ახალ პალატაში 131 მემამულეა სახლისა და ფულის პატრონი, 102 ადვოკატი, 13 სხვათა საქმეების მწარმოებელი, 45 მკურნალი, 19 ინჟინერი, 7 დიპლომატი, 6 სასულიერო საბჭოს წევრად ნამყოფი, 25 მოხელედ ნამყოფი, 6 მასწავლებელი (უნივერსიტეტისა და გიმნაზიისა), 20 კაცი ქალაქის თვით-მმართველობის სამსახურში ნამყოფი, 26 სამსახურიდამ გამოსული აფიცერი, 37 ჟურნალისტი, 8 ლიტერატორი, 3 ეკონომისტი, 58 ქარხნისა და ფაბრიკის პატრონი, 18 სოვდაგარი, 12 ბანკირი, 6 ფარმაცევტი, 1 ეპისკოპოსი, 1 პასტორად ნამყოფი, 1 ქიმიკოსი, კომპოზიტორი, სოფლის მასწავლებლად ნამყოფი, ბეითალი, მესაათე, 2 ღვინის მყიდველი, 4 მუშა-კაცი და 10 სხვა დასხვა მოსაქმობისა.

## დეპეშა

11 ნოემბერი

**სტამბოლი.** სულთანმა ბრძანება გასცა, რომ სასტიკი გამოძიება მოახდინეთ სომხეთში ქურთების მიერ ჩადენილ ძალდატანებაზეო.

**ნიცცა.** გუშინ ოპერაში მყოფს დიდს მთავრებს ვლადიმერ ალექსანდრეს ძესა და პეტრე ნიკოლოზის ძეს ხალხი დიდის ამბით მიეგება.

**ბერლინი.** ამბავი მოვიდა, რომ აფრიკაში გერმანიიდგან წასული პეტერსის ექსპედიცია-კი არ დაიღუპა, არამედ ინგლისისაო.

**ბომბეი.** შუაგულ ინდოეთის მთებში მცხოვრები ტომი კოლსებისა აიშალა, მთავრობის დაწესებულებანი აიკლო და რამდენისამე ადამიანის სისხლიც დაღვარა. მეამბოხენი თხოულობენ, რომ საზოგადო გადასახადი შეგვიმცირეთ და ამას გარდა საბატონო კიდევ ერთიან გააუქმეთო.

13 ნოემბერი

**პეტერბურგი.** მემკვიდრე ცესარევიჩი გუშინ დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდამ.

„Нов. Вр“. ამბობს, რომ ხმა

---

ამიტომ ამათში ქურდობა და ავაზაკობა არა ხდება არც თავიანთის მხრით და არც სხვა ხალხის მხრით. აქაური თათრები მთლად ყაჩაღები არიან. ისე დღე-და-ღამე არ გავა, რომ სოფელში, და უმეტეს გზაში არავის არ დაეცნენ და არ გაცარცვონ, ან არ მოკლან, მაგრამ ამ ყაჩაღს ხალხს აქაურ გერმანელებთან ვერა გაუწყიათ რა, რადგანაც უკანასკნელთ დიდი ერთობა აქვთ ერთმანეთში. სცხოვრობენ გერმანელები თავიანთვის მშვიდად და არც არაფერს სხვას უშლიან რასმეს.

სტუმართ-მოყვარე ხალხია აქაურები. ქუჩაში რომ გაიარო, უცნობს გიძახიან, გინდა თუ არა შემოდი სახლში და ღვინო დაგვილიეო, გაგიჭირებენ საქმეს. სალამიც იციან უცნობ კაცთან. მშრომელი ხალხია ძალიან. რამეა მარტო აქაურ დედაკაცებს წყალი მოაქვთ თავით, გაგიკვირდებათ, კისრები რატომ არ უწყდებათო. ბევრს თავით ბევრის წყლის ზიდვის გამო თმა შესთხელებია. ყველა საქმეს აკეთებენ აქაური დედაკაცები. მიხვრა-მოხვრა აქვთ ძალიან უშნო, თითქოს ხძინავთ სიარულის დროს და ისე მიდიანო...

ღვთის მოყვარე ხალხია. ყველა უქმე-კვირაობით რომ უყუროთ, ზოგი საიდგან მიეჩქარება დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ხელში წიგნით ეკკლესიისაკენ და პატარა ხანს უკან მთელს ეკკლესიას ავსებენ თითქმის.

რა პატივსა სცემენ გერმანელები თავიანთ მამასახლისს შულცს, გაიგებს კაცი მაშინ, როდესაც სასოფლო კრებაზედ, ან კვირა - უქმობით სასოფლო კანცელიარიაში დაესწრობა. სასოფლო კანცელარია, ანუ სამოსამართლო იმ ნაირად არის მოწყობილი და შიგ საქმე ისე რიგიანად სწარმოებს, რომ არც აქ და არც სხვაგან, რომელსამე სახელმწიფო დაწესებულებაში, ისე წესიერად არა სწარმოებს-რა. დიდი დარბაზია ორად გაყოფილი. წინ ხალხის ადგილია, სკამებით ჩამომწკრივებული, უკან სოფლის მოსამართლეებისა და მამასახლისის - შულცისთვის. უკანა განყოფილებაში მოსამართლეთ ცოტა დაბლა სკამები და წინ სტოლი სდგას გადაფარებული. მათ შემდეგ უფრო ამაღლებული ალაგია, საიდამაც მთლად ხალხი კარგა სჩანს. სკამი და სტოლი წინ წითელის სუფრით გადაფარებული, საწერელ-კალმით და კანონ-დებულების წიგნებით შემკული ხალხი ჩუმად და მოწიწებით სხედს თავის ალაგზედ. გამოუძახებს ვისმეს მამასახლისი და დააწყებინებს ლაპარაკს, სხვას კრინტს არ ამოაღებინებს, ვინემ არ გაათავებს მომჩივანი. შემდეგ იგი დაჯდება თავის ალაგზედ და ახლა მოწმებს ისევე სათითაოდ ჰკითხავს. მწერალი იქვე სწერს საქმის მსვლელობას. რომ გაათავებს გამოკითხვას, მოსამართლენი და მამასახლისი ცალკე ოთახში გავლენ და გადასწყვეტენ უკანასკნელად საქმეს. მოსამართლე გამოიტანს და წაუკითხავს გადაწყვეტილებას. ამ რიგად ახლა სხვის საქმეს გაარჩევენ მოსამართლენი, ჰკითხავენ მომჩივანს და მამასახლისი ყურს უგდებს.

არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა აქაურ საპოლიციო განყოფილების ბოქაულზედ, თ. ვ. ა. თარხანმოურავიშვილზედ, რომელიც გულმოდგინედ ასრულებს თავის ვალდებულებას. წინათაცა ვსთქვი, აქაური თათრები ბორჩალოს მაზრისა მთლად ყაჩაღები არიან-მეთქი. ამ მაზრაში მცხოვრები ქართველები და სომხები-კი შესჩვევიან ამათის წახედულობით ქურდობასა და კაცის კვლას. ამ ცოტა ხანში აქ ერთმა გომარეთელმა ქართველმა გლეხმა ალექსი შუბაშვილმა მოჰკლა თოფით ჩუმად ქართველივე თავ. კონსტანტინე ჯაფარიძე. ს. ბაშკიჩეტში თათრებმა სამი დუხაბორი მოკლეს, სოფ. ეკატერინენფელდს ახლო სამს მეცხვარეს რვა თუ ათი თათარი შეიარაღებული დაეცა და ცხვარი დასტაცეს, შიგ ეკატერინენფელდში გერმანელებს ქორწილი ჰქონდათ, ერთი ქართველი და ერთი თათარი ქორწილში იყვნენ და მადლობის მაგიერად წამოსვლის დროს ცხენის მორთულობა დაჰპარეს. ათასი ამისთანა სხვა ავაზაკობა ჰხდება. აქაური ბაჟშვიც-კი მთლად იარაღში ზის. ამის შემდეგ წარმოიდგინეთ, აქაურს პოლიციის ბოქაულს რა სიფხიზლე და დიდი მეცადინეობა ჰმართებს, რომ ეს ამდენი ავაზაკობა შეიკავოს. ეს ჩემგან ჩამოთვლილი ავაზაკობა სულ ერთს კვირაში მოხდა. ბ-ნი ბოქაულიც, თ. თარხან-მოურავიშვილი, არა ჰზოგავს თავის შრომასა და მეცადინეობას. ზოგს დარიგებით ამშვიდებს, ზოგს მუქარით, ზოგს ხვეწნით, ზოგს ცემით. დღე მოხდება ავაზაკობა, თუ ღამე, იმ საათსავე თავის ჩაფრებით დაიბადება, სადაც ავაზაკობა ჩაიდინეს. ერთის სიტყვით, ბოქაულისთვის დღე ღამეა და ღამე დღე. როდესაც აქაური ბოქაული ასეთს გაჭირებულს მდგომარეობაშია, ამ დროს სხვა ბოქაულები, თუნდ გორის მაზრისანი, მოსვენებით არიან მხარ-თეძოზედ წამოწოლილნი. ვინ იცის, იქნება მთელი თთვეები გავიდეს, რომ იქ კაცის კვლა და ან ამისთანა რამე დიდი საქმე არ მოხდეს და იმათ უნდა ატარონ ესე დროება, რომ ერთხელ არ გაიარონ მათგან დამოკიდებულს სოფლებში, გაიგონ რა ამბავია, ან საქონლის ავადმყოფობა ხომ არ არის, ან ხალხი ხომ არა სწუხდება რაიმე ჭირით. ყველა საქმე, ხალხის ავი და კარგი, იმათ ხელშია და, თუ გაზეთით არ გაიგო პატივცემულმა ბოქაულმა, თუმცა იმისი ვალია, რომ გაზეთს თვით შეატყობინოს ხალხის ავი და კარგი, თითონ არა იცის-რა.

არის, ვითომ უნდათ გააუქმონ მერმისიდამ თანამდებობა კავკასიის მთავარ მართებლისა კავკასიაში და კვლავ დააწესონ ნამესტნიკობა.

იგივე გაზეთი ამბობს, რომ საეკონომიო საზოგადოების მესამე განყოფილებამ განიხილა, რა გვარად ეშველოს იმ გლეხებს, რომელთაც დაუგირავებიათ თავიანთი საკომლო მამულები პორხოვის საქალაქო ბანკში და ველარ-კი მოუხერხებიათ, როგორ გაუსწორდნენ ბანკს. განყოფილებამ გადასწყვიტა მიეცეს იმ გლეხებს საგლეხო ბანკიდამ უფრო მეტი სესხი, ვიდრე საქალაქო ბანკს მიუციათ და გირავოთ აჰილოთ იგივე საკომლო მამულებიო.

„Новости“ იუწყება, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში სახელმწიფო ეგზამენები ასე გათავდაო: ფიზიკო-მათემატიკის ფაკულტეტის კომისიაში განსაკუთრებით მათემატიკაში დაიჭირა ეგზამენი 31 კაცმა, ამათში 25 მიიღო დიპლომი 1-ლის ხარისხისა, ხოლო 6-მა ატესტატი მე-2 ხარისხისას; ბუნების მეტყველებაში—19 კაცმა: 13 მიიღო დიპლომი და 6-მა ატესტატი; აღმოსავლეთის ფაკულტეტზე 7-მა კაცმა: 5 მიიღო დიპლომი 1-ლ ხარისხისა, 2—ხარისხისა; ფილოლოგიურს ფაკულტეტზე—21 კაცმა: ეგზამენი დაიჭირა 18-მა, 10 მიიღო დიპლომი პირველისა, ხოლო 8—მეორე ხარისხისა. იურიდიკულს კომისიაში 108 მივიდა ეგზამენის დასაჭერად: ეგზამენი დაიჭირა 85 კაცმა; დიპლომები ჯერ არ დაურიგებიათ.

პეტერბურგის ბირჟა, 10 ნოემბ.

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაურიგდნენ. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | 7 61 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 151¼ | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 245½ |
| —მეორისა . . . . . | 224 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | 97 „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | 97½ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | 84¼ | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი
#### ნიხრი
1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. 3½
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ 3½
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . . „ „
მროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 „
ღორის ხორცი . . . . . „ „
„ 2 „ „ „ „

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ვალ. გუნიას მიერ შედგენილი

## სახალხო კალენდარი
1890 წ.

ფასი ორი შაური

ვინც ერთბაშად იყიდის ას წიგნს, იმას მანეთზე ხუთი შაური დაეთმობა, ანუ ერთ თუმნად შეუძლიან მიიღოს 13 მ. წიგნი. ვინც იყიდის 300 ცალს, იმას მანეთზე ექვსი შაური დაეთმობა, ანუ სამ თუმნად შეუძლიან მიიღოს ოთხის თუმნის წიგნი.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობა ჩვეულებრივი პროცენტი. ვისაც სურს კალენდრის გამოწერა, შეუძლიან ნახევარი ფასი ამ თავითვე გამოგზავნოს და ნახევარი მიღებისთანავე გადაიხადოს (съ наложеннымъ платежомъ).

მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას და ტერ-სარქისოვის საკანცელარიო მაღაზიას, სასახლის ქუჩაზე, ძალაევის სახლში.

ამ დღეებშივე გამოვა „საქართველოს კალენდარი“ 1890 წ. და უბის წიგნი 1890 წლისათვის.

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა, 1881 წლის 17 თებერვლის დამტკიცებულ ბანკის წესდების მე-15 §-ის ძალით, ამით აცხადებს, რომ 16 დეკემბერს 1889 წ., დილის 12 საათზედ, ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, არწრუნისეულს სახლებში საჯაროდ გაისყიდება ქვემო ხსენებული მამულები ვაჭრობის განუმეორებლად ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახდელების შემოუტანლობისათვის, მე-13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

### ა) სესხნი გაცემულნი არა-ურთიერთობრივის თავდებობით.

ალენიკოვისა, სალომე იაგორის ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორ-სართულიანი ქვითკირისავე ფლიგელი, ზომით 88 საჟ. 1½ არშინი. ქ. ტფილისს, დავიდოვის ქუჩაზედ. თავნი ვალი 12712 მან. 6 კ. შემოსატანი 206 მან. 60 კ. სულ 12918 მ. 66 კ.

სულხანოვისა, მარიამ იეანეს ასული: 18 ქვის დუქანი, ამათში 14 ერთ-სართულიანი და 4 ორ-სართულიანი ბალახანითურთ. მიწის ზომა 276 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს, ორი დუქანი იმყოფება მე-7 ნაწილში და 16 ჩუღურეთს. თავნი ვალი 19623 მან. 87 კ. შემოსატანი 4794 მ. 58 კ. სულ 24,418 მ. 45 კ.

მირიმანოვი, დავით იაკობის ძე: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ფლიგელი, მიწის ზომა 111½ ოთხ-კუთხი საჟ. 11 ნაწილში 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისში, ელისაბედის ქუჩაზედ. თავნი ვალი 13560 მ. 33 კ. შემოსატანი 1056 მ. 72 კ. სულ 14617 მ. 5 კ.

არწრუნი, გრიგოლ, ანდრია და ელისაბედ იერემიას ძენი: სხვა-და-სხვა შენობა 6 დესიატ. და 928 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. ტფილისს, 1 ნაწ. 1 განყ., იმას იქით, სადაც მოსკოვის საყარაული იყო. თავნი ვალი 8136 მ. 22 კ. შემოსატანი 584 მ. 40 კ. სულ 8720 მ. 62 კ.

ჭრელაშვილი, გრიგოლ დავითის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ბაღით. მიწის ზომა 4 დესიატინა ქ. ტფილისში, ნავთლუღს, 2 განყ., 16 ნაწ. თავნი ვალი 1356 მ. 6 კ. შემოსატანი 167 მ. 62 კ. სულ 1523 მ. 68 კაპ.

მირიანოვისა, მარიამ იაკობის ასული: ერთი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და აბანოები 168 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. გორში. თავნი ვალი 3473 მან. 52 კაპ. შემოსატანი 204 მან. 76 კაპ. სულ 3678 მ. 28 კაპ.

პოლტარაცკი, ივანე ეგნატეს ძე: ორი ორ-სართულიანი ქვითკ. სახლი, ორის ორ-სართულიანის ფლიგელით და შენობით. მიწის ზომა 321⅓ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, ოლგასა და მოსკოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 18,482 მან. 14 კაპ. შემოსატანი 2261 მან. 56 კაპ. სულ 20,743 მან. 70 კაპ.

თამამშოვი, ალექსანდრე სოლომონის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამის წყაროთი და ყოველისაე მოწყობილობით, ვენახი და ბაღი. მიწის ზომა 3 დესიატ. 350 ოთხ-კუთხი საჟ. მე-9 ნაწილში, ქ. ტფილისში, 1 განყოფილებაში, კრწანისს. თავნი ვალი 2133 მან. 48 კაპ. შემოსატანი 213 მან. 50 კაპ. სულ 2345 მან. 98 კაპ.

რუსიევ-ყორჩიბაშევი, გიორგი გიორგის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის. მიწის ზომა სიგრძით 50 საჟ და სიგანით 25 საჟ. ქ. თელავს. თავნი ვალი 558 მან. 10 კაპ. შემოსატანი 102 მან. 44 კაპ. სულ 660 მან. 54 კაპ.

ციციშვილი, დავით იეანეს ძე: მიწა 300 ოთხ-კუთხი საჟ. 11 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისში. თავნი ვალი 958 მან. 17 კაპ. შემ. 127 მან. 72 კაპ. სულ 1085 მან. 89 კაპ.

### II სოფლის მამულები

ბარათაშვილი, გიორგი ვახტანგის ძე: სახნავი და საბოსტნე ადგილები, ზომით 177 დესიატ. 1560 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკს ზემო-ოძისს. თავნი ვალი 4089 მ. 67 კ. შემოსატანი 200 მან. 80 კ. სულ 4290 მ. 47 კ.

ხიმშიევები, ნიკოლოზ, ნინო და მარიამ გიორგის ძენი და ეკატერინე ბეჟანის ასული: სახნავი და საძოვარი მიწა, ზომით 653 დესიატინა 1820 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, ამტნისხევში. თავნი ვალი 4090 მან. 15 კაპ შემოსატანი 264 მან. 60 კაპ. სულ 4854 მან 75 კაპ.

ნაზარბეგოვი, სოლომონ გრიგოლის ძე: სახნავი, სათიბი და საძოვარი ადგილი, ზომით 548 დესიატინა 1837 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ ყიჩიკში თავნი ვალი 7270 მან. 80 კაპ. შემოსატანი 389 მან. 60 კაპ. სულ 7660 მან. 40 კაპ.

ერისთავი, გიორგი გიორგის ძე: სახნავი, საძოვარი, სამოსახლო ადგილი, ვენახი და შენობანი, 284 დესიატინა 1263 ოთხ კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. თელავის მაზრაში, სოფ. ქისტაურში. თავნი ვალი 9238 მან. 16 კაპ. შემოსატანი 434 მან. სულ 9672 მან. 16 კაპ

ქანანოვი, გიორგი ზურაბის ძე: სახნავ-სათესი, ვენახი და სახლ-კარის ადგილები შენობები, რომელთაც 151 დეს. 300 ოთხ-კუთხი საჟ. მიწა უჭირავთ ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრის სოფ. ბრეთში. თავნი ვალი 8225 მ. 40 კ. შემოსატანი 715 მ. 18 კ. სულ 8940 მ. 58 კ.

კერესელიძისა, ანასტასია გრიგოლის ასული: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 104 დესიატინა 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის მაზრის სოფ. ბოგვში. თავნი ვალი 2756 მ. 57 კ. შემოსატანი 495 მ. 69 კ. სულ 3252 მ. 26 კ

მელიქოვი, ივანე, ალექსანდრეს ძე: სახნავი ადგილი და ტყე, ზომით 2365 დესიატ. 364 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, გალითალასა, მუხრანკასა და სხ. თავნი ვალი 12931 მ. 23 კ. შემოსატანი 686 მ. 90 კ. სულ 13618 მ.13 კ.

თარხან-მოურავი, დავით იორამის ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 525 დესიატინა და 876 ოთხ-კუთხი საჟ ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ ახალ-ქალაქისა და კავთისხევის მახლობლად და აგ. მანგლისში. თავნი ვალი 6465 მ. 7 კ. შემოსატანი 358 მ. 40 კ. სულ 6823 მ. 47 კ.

სოლაღოვი, იასე ქაიხოსროს ძე: სახნავ-საძოვარი და სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 212 დეს. 150 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრას, პუსტოშის მონასტერს თავნი ვალი 1847 მან. 34 კაპ. შემოსატანი 94 მან. 80 კაპ. სულ 1942 მან. 14 კაპ.

ორბელიანი, ალექსანდრე იეანეს ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები, ზომით 2189 დესიატინა 1987 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრას, აგარაკთ: წინანაურსა, კასალისა და ბაშკიჩეტს. თავნი ვალი 32328 მ. 6 კ. შემოსატანი 1496 მ. სულ 33824 მ. 6 კ.

ვაჩნაძე, იოსებ რევაზის ძე: სახნავი ადგილები და ტყე, ზომით 663 დესიატინა ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფელ ბარემკალას. თავნი ვალი 2770 მ. 97 კ. შემოსატანი 190 მ. 28 კ. სულ 2861 მ. 25 კ.

ქობულაშვილები, სოლომონ და ზაქარია ადამის ძენი: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 823 დესიატ. 1200 ოთხ-კუთხი საჟ თელავის მაზრის სოფ. კონდოლს. თავნი ვალი 9236 მ 58 კ. შემოსატანი 439 მ. სულ 9675 მ. 58 კ.

ვახვახოვისა, ეკატერინე გიორგის ასული: სახნავი ადგილები და ტყე, ზომით 308 დესიატინა 555 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. თელავის მაზრას, სოფ კონდოლში. თავნი ვალი 2770 მ. 97 კ. შემოსატანი 221 მ. 78 კ სულ 2992 მ. 75 კ.

შატბეროვისა, ლიუდმილა ათანასეს ასული: სახნავი ადგილები ზომით 18 დესიატინა 1600 ოთხ-კუთხი საჟ. გორის მაზრის სოფ. ხაშურში. თავნი ვალი 923 მან. 66 კაპ. შემოსატანი 99 მან. 44 კაპ. სულ 1023 10 კაპ.

თოფშიევისა, ხანუმა ყაზი-ხანუმა (ზეინალოვებისა): სახნავი და საბალე ადგილები, 388 დესიატ. 250 ოთხ კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, ბორჩალოში, შულავერის ადმინისტრაციულს განყოფილებაში, ახალს მაღლუთმუს საპრისტაოში. თავნი ვალი 4618 მან. 29 კაპ. შემოსატანი 222 მან. სულ 4840 მან. 29 კაპ.

გედევანოვი, მერაბ იოსების ძე: სახნავი, საძოვარი და სათიბი მინდვრები 60 დესიატ. 110 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, აგარაკს მუხათ-გვერდში. თავნი ვალი 554 მან. 19 კაპ. შემოსატანი 62 მან. 32 კაპ სულ 616 მან. 51 კაპ.

ციციშვილის, ხორეშან თადეოზის ასული: სახნავი მიწები და ტყე 234 დესიატ. 1368 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. საგურამოს. თავნი ვალი 6498 მან. 17 კაპ. შემოსატანი 394 მან. 62 კაპ. სულ 6892 მან. 79 კაპ

მელიქოვი, მიხეილ იეანეს ძე: სახნავი, სათიბი და ტყე 1041 დესიატ. 500 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, არაბატალა, ფალიან-თაქიანი და სხ. თავნი ვალი 7426 მან 46 კაპ. შემოსატანი 408 მან. 40 კაპ. სულ 7834 მან. 86 კ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე: სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე, 1292 დესიატ. 1600 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აბულმუგში. თავნი ვალი 5596 მან. 95 კაპ. შემოსატანი 264 მან. 40 კაპ. სულ 5861 მან. 35 კაპ.

მელიქოვისა მარიამ გიორგის ასული, სახნავი, საძოვარი სათიბი და სამოსახლო ადგილები და ტყე, ზომით 1559 დესიატ. 760 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. და მაზრას, სოფ. თოხლიკილისსა, სადახლო და ქვემო ცოპს. თავნი ვალი 26575 მან. 16 კაპ შემოსატანი 1249 მან. 46 კაპ. სულ 27824 მან. 62 კაპ.

ჭავჭავაძე, ზაქარია გულბაათის ძე: სახნავი ადგილები და ტყე 660 დესიატ. 1800 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თიანეთის მაზრის სოფ. ბოტკოს. თავნი ვალი 11,193 მან. 87 კაპ. შემოსატანი 520 მან. 80 კაპ. სულ 11714 მან. 67 კაპ.

შუტოვისა, ელისაბედ პავლეს ასული: სახნავ-სათიბი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 56 დესიატ. 2080 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრას, აგარაკთ დიდ-ენაგეთსა და ტბისში. თავნი ვალი 189 მან. 82 კაპ. შემოსატანი 67 მან. 37 კაპ. სულ 257 მან. 13 კაპ.

ციციშვილი, დავით იეანეს ძე: საძოვარი, ხეხილიანი ვენახი და შენობანი 86 დესიატ. 960 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ქვემო ნიჩბისში. თავნი ვალი 3807 მან. 39 კაპ. შემოსატა-